სახალხო გაზეთი

№ 358 პარასკევი, 22 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 35

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა,, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დ. ყვირილაში

„ხორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: **ხელის მოწერის** დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ნატალია და გიორგი იორამიშვილები და ანნა გიორგის ასული ჭინჭარაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

კნეინა მარიამ გიორგის ასულის ჩხეიძისას

პირველნი საყვარელ შვილისას, მეორენი დისას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, გამოსვენება 23 ივლისს, დილის 9 საათზე. ავლაბარი, სახ. იორამაშვილისა, კონსტანტინეს ქ., წმ. მარინეს ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—733—1)

დავით გიორგის ძე და ანნა იას ასული ნაზუცრიშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 ივლისს, დილის 12 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ცოლის და, მეორეს და

ბარბარე იას (იობის) ასული ხუცაიძისა.

პანაშვიდი ყოველ-დღე, საღამოს 6 საათზე ქალაქის საავადმყოფოს სავანეში (ბარაკები); დასაფლავება მოხდება კვირას, 24 ივლისს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, წირვის შემდეგ. (2—734—1)

ივანე ქრისტესის ძე ხუცაიძე, ია და ნინო შავკაციშვილნი შვილიშვილნი, ანდრია, კონსტანტინე ქრისტესის ძენი და ეკატერინე ხვიმასის ასული ხუცაიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 21 ივლისს, დილის 12 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველის—მეუღლე, მეორეთა—ასული, მესამეთა—რძალი,

ბარბარე იას (იობის) ასული ხუცაიძისა.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ქალაქის საავადმყოფოს სავანეთში (ბარაკები), დასაფლავება მოხდება კვირას, 24 ივლისს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, წირვის შემდეგ. (3—734—1)

გამოვიდა და იყიდება ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა",

4 მოქმ. დრამა. წიგნის საწყობი: **„სახალხო გაზეთის"** რედაქცია. (5—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითიანი რ. ხ.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და აბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

თრემბოვეცკი ნ. ხ.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია; ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემდგავათ. სადგასურიით. (წ.—1089—517)

„სახალხო გაზეთის" რედაქცია და კანტორა
გადავიდა

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში. შესავალი ეზოდან.

ქართ. თავად-აზნაურობის თეატრი

კვირას, 24 და ორშაბათს, 25 ივლისს, 1911 წ., დანიშნულია **მხოლოდ ორი გასტროლი**

გაუგონელი რამ ახალი ამბავი!

ამერიკელი-შემსრულებელნი! ეგვიპტის საიდუმლოებათა სასწაულნი!

რუსეთში პირველად მრავალ ორდენთა კავალერნი **ზენონა და ჰელლი სიმენსი**, რომელთაც ევროპის ყველა ქალაქები აალაპარაკეს **სასწაულნი სასწაულნი მაღაზია და ეგვიპტის თვალთ-მაქცობ და ტიბეტის ლამობ. ძველ ეგვიპტის კუთხე! ჩვენება ეგვიპტის მუმიებისა და მოჩვენები აჩრდილთა.**

აპოთეოზი 3 სურათად.

გასაოცარი სანახაობა!

ნელლი სიმენსი საზოგადოებას უჩვენებს ბამბუკის ჯოხს, სიგრძით 4½ არშ., და საზოგადოებიდან მოიწვევს ვისმეს ჯოხს ხელი მოჰკიდოს, მაშინ ნელლი სიმენსი ამ ჯოხზე შიმპანზეს (მაიმუნია) შესვამს, რომელიც საზოგადოების თვალ-წინ გაჰქრება, ზენონა სიმენსი კი, წინდაწინვე სკამზე მიჯაჭული დაუფარავი, ჯოხიდან მაყურებელთა გასაოცებლად ძირს ჩამოდის, იმის ადგილას კი, მიჯაჭული შიმპანზე ზის, რომელიც ის იყო მაშინ გაჰქრა.

საოცრება თვალი! **საღამოს თვალი!** **გაუგონელი რამ ახალი ამბავი!** (3.1402.1)

ტელეფ. 795. ### ახალი კლუბი ტელეფ. 795.

(თ. აზნაურობის საზაფხულო ბაღი და თეატრი).

შაბათს, 23 ივლისს, 1911 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

ქართულ საზაფხულო თეატრში წარმოდგენილ იქნება (ებრაულ ენაზე):

I **კაპცენზონ ეტ ჰუნგერმან** (ღრაზიანი ქალიშვილი) ოპერეტკა (მეორე აქტი), თხზ. გოლდფადენისა.

II სეანსი **ამერიკელ არტისტების ზენონ და ნელლი სიმენსისა.**

ბაღში უკრავს **სიმებიანი მუსიკა და საზანდარი. დასაწყისი საღ. 9 საათზე.**

სტუმრები გადაიხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ.

ანონსი: დღეს, (პარასკევს) 22 ივლისს, **იაფი ლოტო.** (2—1394—1)

ა. ჯორჯაძის თხზ. მე-2 წ.
„ჩვენი საზოგადოებრიობა"

გასასყიდად გამოვიდა. ფასი 80 კ. ხელის მომწერლებმა უნდა მიმართონ იმ აგენტებს, ვისთანაც ხელი მოაწერეს. (3—3)

ფოთის ქალების გიმნაზია

მომავალს სამოსწავლო წელს გიმნაზიის მერვე კლასში იქნება მხოლოდ

რუსული ენის განყოფილება.

თავისუფალ ადგილებზე თხოვნის მიღება შეიძლება 20 აგვისტომდე. (2—1398—1)

საბურთალოზე **მშვენიერ ალაგას**, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—98)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წ.—1090—115)

ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. ი—103

ექიმი ჰ. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—6)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—66)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

ხამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

შპალიერი
ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა

ტფილისის განყოფილება იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—39)

ნარკვევი

(ჟურნალ გაზეთებიდან)

განათლების სამინისტრომ, როგორც იყო, გადასწყვიტა პეტერბურგის საქალებო სიექიმო კურსების ბედი: 1.000 ქალი განდევნა სასწავლებლიდან. ამის შემდეგ გაზ. „რეჩი" სწერს:

„მიუხედავად ასეთ გადაჭრილ მოქმედებისა, კასსომ ახალი ვერაფერი შეიტანა თავის მოქმედებაში. ასეთი გადაჭრილი ზომები დიდი ხანია წარმოებს; ასეთს ზომებს იღებდნენ მისი წინაპრებიც. იყვნენ ამ თანამდებობაზე ღენერლებიც, უბრალო ერის კაცნიც, პროფესორებიც და „მათ მიმართულებათა სხვა და სხვაობის მიუხედივად", ყველა იმარჯვებდა აგრევე ბრწყინვალედ. მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებათა მიუხედავად, ეჭვიც იზრდებოდა, ეჭვი ამ ზომების გონიერებაში. და ბოლოს საჭიროდა სცნეს წესდების შემუშავება... ახალგაზრდა მინისტრმა ეს იმედიც გააქარწყლა და ახლა კითხვა იბადება: ნუ თუ იმიტომ ვსცადეთ ურჩთა გასალდათება, იმიტომ გამოვიარეთ ამდენი ღელვა, რომ ბოლოს ისევ კასსო დამდგარიყო სათავეში და ეს ზღაპარი ისევ თავიდან დაეწყო.

.... მაგრამ დროა ერთი შეცდომა გავასწოროთ: ჩვენ ვამბობთ „ყველა მოსწავლენი დაითხოვესო", ეს არ არის მართალი. ოცდა შვიდი მათგან დატოვებულია და ამათ შორის ნამდვილი ებრაული გვარებიც კი ურევია და ეს განა იმის მაჩვენებელი არ არის, რომ აქ მიკერძოებას ადგილი არა აქვს?! რა რა თქმა უნდა, ქვეყანაში განათლების მოსაფენად გზა უნდა მივსცეთ ყოველგვარ „ნებათა იმპულსებს" და არ დავაყოვნოთ სასტიკი ზომების მიღებაც კი.

ამავე საკითხს ეხება გაზეთი „გოლოს მოსკვი". ამ გაზეთს ჰგონია, რომ მინისტრ კასოს საქციელი ლოღიკური და აუცილებელი შედეგია გასულის საკადემიო წლისა. კასოს განკარგულება მეხივით დაეცა იმ გაზეთებს, რომელთაც გაფიცვები აკადემიურ ცხოვრების აუცილებელ საჭიროება ჰგონიათო. „გოლოს მოსკვის" სიტყვით, ეს გაზეთები დარწმუნებულნი ყოფილან, რომ მთავრობა ინსტიტუტის დირექტორს დაითხოვდა და ამით დაკმაყოფილდებოდაო.

კასო ამაზე შორს წავიდაო,—ამბობს გაზეთი—მან კარგად განსაჯა, რომ უმაღლეს სასაწავლებლებს არა სჭირდება, არამც თუ ისეთი პროფესორები, რომელთაც სწავლება არა ჰსურთ, არამედ ისეთი მოსწავლენიც, რომლებიც არა სწავლობენ. ამიტომ სასტიკ მაგრამ კანონიერ და ლოგიკურ კანონს მიჰმართა, და განუცხადა: თუ სწავლა არა გსურთ, სასწავლებლიდან მიბრძანდით.

ის გაზეთები, რომელთაც ინსტიტუტის გაფიცვის ერთსულოვნება აოცებდა და პროვოკაციას ეწეოდნენ, ეხლა თავს ისე იჭერენ, ვითომ კასსომ ეს განკარგულება მხოლოდ შესაშინებლად მოიგონა.

„რუსს. ვედომ". პათოსით ამბობს, „1000 მოსწავლეზე მეტი ინსტიტუტიდან გარეკეს და ქალთა საექიმო ინსტიტუტი ფაქტიურად აღარ არსებობსო. ჩვენკი „გვგონია,—უპასუხებს „გოლოს მოსკ". ამ გაზეთს—რომ ინსტიტუტი მაშინ დაიკეტა, როცა იქ გაფიცვა გამოაცხადეს. ამის გარდა სასწავლებლიდან გამორიცხეს არა 1000 მომავალი ექიმი ქალი, არამედ 1000 ქალი, რომელთაც ექიმობა არა ჰსურთ. ეს ასეა, რადგანაც დედამიწის ზურგზე ექიმობის დიპლომებს გაფიცვებისათვის არსად აძლევენ. მთავრობას ურჩევნიან 27 ექიმი გამოზარდოს (ასეთია ის მცირე რიცხვი მოსწავლე-ქალებისა, რომელთაც მეცადინეობა უნდოდათ), ვიდრე 1000 უსაქმო შეინახოს და ამავე დროს იმედი არა ჰქონდეს, რომ ამ ჯარა-ხალხისაგან ცოტა რამ მაინც გამოვა.

მთავრობამ სწორე გზას დაადგა, როცა „მოსწავლე", უკეთ რომ ვსთქვათ არა მოსწავლე — „ახალგაზრდობასთან პრანჭვა-გრეხას თავი დაანება და უკიდურესს ზომებს მიჰმართა. „სკოლა მოსწავლეთათვის", ეს პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად სასწავლებელს და შეურყევლად უნდა იქმნეს ცხოვრებაში გატარებული.

გაბედულად მოიქცევა და სასწავლებლების უსაქმოთაგან დაიხსნის აუცილებლობა მთავრობას სიმტკიცეს ავალებს.

მთავრობის მოქმედება ავტორიტეტული უნდა იყოს, ამისათვის კი საჭიროა, რომ მთავრობას შეცდომები არ მოუვიდეს.

გაზეთს მაგალითად შარშანდელი წელიწადი მოჰყავს, როცა კასოს განკარგულებით მოსკოვის უნივერსიტეტიდან აყარებული, სრულიად უდანაშაულო, სტუდენტები დაითხოვეს და ამ შეცდომის გასწორებას დიდი ძალა დასჭირდა.

ასეთი შეცდომები აღარ უნდა მოხდეს. საზოგადოებას არას მოთხოვნის უფლება აქვს.

ასე სწერს ოქტომბრისტების გაზეთი და ერთხელაც არ ჩაუფიქრდება იმ საკითხს, მართლა გამოიყვანს ასეთი უკიდურესი ზომები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს მოჯადოებულ წრიდან თუ არა. ისტორიის მაგალითებს მათთვის გამოცდილება ვერ მიუცია!..

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სასანიტარო კომისიამ** უკანასკნელ ხანს დიდუბეში რამდენჯერმე მოახდინა სანიტარული დათვალიერება. სასანიტარო წესების დარღვევისათვის 13 კაცს ოქმი შეუდგინა.

◆ **უბედური შემთხვევა.** 20 ივლისს, შუაღამისას, მამადავითის ხევში, ქალის ყვირილი მოისმა: „მიშველეთ, მიშველეთო". ხმაურობაზე ხევის მახლობლად მდებარე სახლის პატრონებმა გაიღვიძეს და ხევისკენ წავიდნენ. ჩქარა ხევში პოლიციელნი მივიდნენ და იპოვეს ნახევრად გრძნობა დაკარგული ქალი, 18 წლისა, მარიამ ივანეს ასული ლელლენი, რომელიც მაღლიდან ჩამოვარდნილიყო ხევში. ქალი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ძლივს გონს მოვიდა. მან განაცხადა, საღამოს 7 საათზე ფუნიკულერზე ვიყავი, იქიდან მოვიარა ხევში ჩამომიგორდა, როდესაც შლიაპის ამოსატანად მივდიოდი, მეც ხევში ჩავარდიო. ქალს მარჯვენა ფეხი საგრძნობლად აქვს დაშავებული.

◆ **თავი მოიწამლა** 20 ივლისს მართა მურადოვისამ, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

◆ **„ნაკადული".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადულის" ნომერი—მეშვიდე „მოზრდილთათვის) და მე—13 (მცირეწლოვანთათვის). ჟურნალი ჩვეულებრივ. საინტერესოდ არის შედგენილი.

◆ **ქალაქის ექიმის სანიტარისს ბ. ზაბლუდოვსკის განკარგულებით** ტფილისის საქიმიო ლაბარატორია'ში გამოსაკვლევად მიიტანეს რამდენიმე ნიმუში „ვახხალის" ქარხნის მინერალურ და ხილის წყლებს. ნიმუშები წაიღეს: სარქის გევორქოვის საწვრილმანოდან, მასუმე ქერბალაი ხალი ოღლის ხილისა და მისავე საწვრილმანო დუქნიდან, ბაირამ ალი ოღლის ხილის დუქნიდან, ქარხნის № 1 ფურგუნიდან და თვით ქარხნიდან. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ წყლებში ორგანული ნივთიერება გაცილებით მეტია იმ ნორმაზე, რომელიც ჰიგიენურ მოთხოვნილების მიხედვით დამტკიცებულია სამკურნალო პარტმენტისაგან. გარდა ამისა წყლები კუპრის სალებავით ყოფილა შეღებული და ბინძურია ქარხანის წყალი მავნებლად იცვნეს.

◆ **ტფ. გუბერნატორი** ა. გ. ჩერნიავსკი უკვე დაბრუნდა ტფილისში.

◆ **ტფილის-ბაქოს** შუა ტელეფონის გაყვანას აგვისტოს პირველ რიცხვებში შეუდგებიან.

◆ **ქალაქის წყალსადენი** (ავჭალაში) 20 ივლისს ტფ. ქალაქის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

◆ **სენატის განმარტებით** 1) ქალაქის საბჭოს თანამდებობის პირნი აუცილებლად დახურულ კენჭისყრით უნდა აირჩიოს და 2) ქალაქის საბჭოს უფლება არა აქვს, ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი შეაწეროს ელექტრონის თეატრებს.

◆ **ექსკურსია.** რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოებამ კავკასიის იმაღლეს მთავრობას აცნობა, მოკლე ხანში კავკასიაში მიუნჰენიდან ჩამოვლენ უცხოელი მეცნიერნიო. ტ. გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, უცხოელებს პოლიციამ ყოველგვარი კანონიერი დახმარება აღმოუჩინოს.

წვრილი ამბები

◆ 20 ივლისს, გოგზლის მახლობლად იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მამრობითის სქესისა, დაახლოვებით ერთის თვისა. ბავშვი ოდგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ 20 ივლისს, მიხეილის ქუჩაზე, „ზარადიზის" ბაღის მახლობლად, შეიპყრეს ადამ აკოფას ძე გაიკაზოვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ 20 ივლისს ტფილისში შეიპყრეს 28 უპასპორტო.

სასწავლებლებში

◆ 15 ივლისს დამთავრდა სწავლა საბრეშუმო სადგურთან გახსნილ მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსებისა რომელიც 1 თვე გაგრძელდა. სულ 40 მსმენელი იყო: 10 სახალხო სკოლების მასწავლებელი, რომელიც სამოსწავლო ოლქმა გამოჰგზავნა, 2 სამრევლო სკოლის მასწავლებელი (ხერსონის გუბერნიიდან), ერთი სახალხო სკოლის გამგე, ერთი ქალთა ბოდბის მონასტრის მორჩილი ქალი, 10 სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწაფე და 16 სხვა და სხვა პროფესიის პირი. კურსებს ხელმძღვანელობდა საბრეშუმო სადგურის დროებით გამგე მეაბრეშუმეობის უფროსი სპეციალისტი ვ. ი. ივანოვი. გამოცდის სურვილი 30 კაცმა განაცხადა. გამოცდა 16 და 18 ივლისს მოხდა რომელსაც დაესწრო ოლქის ინსპექტორი ა. ი. სლოვინსკი და 1 რაიონის სახალხო სკოლების დირექტორი ვ. გ. კალინიჩენკო, გამოცდაში მეაბრეშუმეობის კარგად ცოდნა გამოიჩინეს—6, საკმაო—6, სუსტი—9, მეფუტკრეობისა; კარგი—7, საკმაო—6 და სუსტი—11. სამმა გამოცდის უარი განაცხადა.

გამომცდელმა კომისიამ სურვილი გამოსთქვა, რომ პრაქტიკული მეცადინეობის გაუმჯობესებისათვის, საბრეშუმო კურსები დაიწყოს ხოლმე 1 ივნისს და 20 ივლისს დასრულდეს. მეფუტკრეობის კი 1 მარტს დაიწყოს და 20-მდე დასრულდეს.

რკინის გზაზე

◆ პეტერბურგსა და მოსკოვში კავკასიიდან და ყირიმიდან ხილის წესიერად გაგზავნისათვის გზათა მინისტრმა რუხლოვმა განკარგულება მოახდინა ეს ხილი დაუბრკოლებლივ მიიღეთ ხოლმე ყოველგვარ მატარებლის საბარგო ვაგონებში.

ქუთაისი.

◆ მაისის დამლევს გამოიცა უმაღლესად დამტკიცებული ცირკულიარი, რომლის ძალით **საერობო და საზოგადო დაწესებულებათ ხოლერისა და შავ-ჭირთან საბრძოლველად** ორი მილიონი მანეთი ეძლევა. ქუთაისის გუბერნატორმა ეს ცირკულიარი ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა და წინადადება მისცა, — შემწეობისათვის. შუამდგომლობა აღეძრათო. გამგეობა ამ ხანად ცირკულიარის ძალით, 10.000 მანეთის შემწეობას თხოულობს და თან იმასაც მოითხოვს, რომ უკან დაუბრუნდეს ის 20.000 მანეთი, რომელიც შარშან დაეხარჯა ხოლერის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

◆ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ძველ-სენაკში სათავად-აზნაურო სკოლის შენობა დაიწვა. ამ უბედურების შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ახალ-სენაკის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მთავარ გამგეობის წინაშე, რომ სკოლა ძველი სენაკიდან გადატანილ იქმნას ახალ-სენაკში და ამასთანავე იგი პროგიმნაზიად გადაკეთდეს. მთავარმა გამგეობამ მისწერა ახალ-სენაკელებს, პროგიმნაზიების დაარსება საზოგადოების პირდაპირ მიზანს არ შეეფერება და რაიცა შეეხება სკოლის გადატანას, ეს ქუთაისის თავად-აზნაურობის საქმეაო. მაშინ ახალ-სენაკის განყოფილებას შუამდგომლობა აღუძრავს ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტის წინაშე. ახლა, როგორც გვატყობინებენ, **ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტს გაურჩევია ეს შუამდგომლობა და გადაუწყვეტია სკოლა ისევ ძველ სენაკში დასტოვოს**.

პროვინცია.

◆ **კოჯორი** (ტფილისის მაზრა). 19 ივლისს, ღამით, სამხედრო შტაბის ერთ-ერთ შენობას, სადაც პოლკოვნიკი მასლენიკოვი და ოლქის შტაბის მდივანი ა. ვარგანოვი სცხოვრობს, ცეცხლი გაუჩნდა. შენობა სრულიად გადაიწვა. ავეჯი და ნივთები გადაარჩინეს; მხოლოდ არეულობის დროს პოლკოვნიკ მასლენიკოვის ცოლის კაბები და საცვლები დაიკარგა.

◆ **სოფ. თერეთეგო** (თიანეთის მაზრა). ახმედ ალმასხანის ძე ფერეზაულმა ჩხუბის დროს იბრაგიმ ფერეზაული თოფით მოკლა.

◆ **„ნაომარი"** (თიანეთის მაზრა). კიორგი მუსაუსტოს მუღაურს თავს დაესხა „ვინტოვკით" შეიარაღებული სამი მძარცველი, თოფის კონდახებით სცემეს და 210 მანეთი წაართვეს, რომელიც მას საქონლის გაყიდვისაგან ეღო. გარდა ამისა, წაართვეს შეკაზმული ცხენი და ხურჯინი 10 მ. სხვა და სხვა ნივთებით. დაზარალებულმა მძარცველთაგან ორი ძმა ელბერდი და ალი კორჩიმაკოვები იცნო.

◆ **სოფ. ნუკრიანი** (სიღნაღის მაზრა). ჩხუბის დროს სანდრო ქუქუკაშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა რაჟდენ ბახტურიძე.

◆ **ს. ჭალიანი** (ბორჩ. მაზრა). მეველე რასუნ სოიუნ-ოღლი დარაჯობის დროს უცნობებმა სასიკვდილოდ დასჭრეს. მეორე დღეს გარდაიცვალა.

◆ **სოფ. გეურარ** (ბ. მ.) ძილის დროს მოჰკლეს კურბან აბდულა ოღლი. მოკლულს ნაჯახისა და ტყვიის ჭრილობა აჩნია. მკვლელები ვერ აღმოაჩინეს.

◆ **„ჩუბუხდუს მომთაბარობა"** (ბორჩალოს მაზრა). მაშადი რუსტამ მაჰმად-ოღლის ბინაში მისულა ორი მხედარი, განთქმულ ყაჩაღის აჯი სილილ ალა მირზა ალიევის ბრბოს წევრი, (რომელიც ამოსწყვიტეს ამ წლის 15 მაისს ადგილ ბაბა-იარში): მამად შახმესად ოღლი და სოიუნ იმდუსახმან ოღლი.. მათ რუსტომ მაჰმად ოღლი მოუთხოვნიათ, რომლის გაძარცვა და მოკვლა უნდოდათ, რადგანაც უკანასკნელს ამ ბრბოს გაწყვეტაში დიდი მონაწილეობა მიუღია. რუსტამ აჰმა და მისმა უმფროსმა ძმამ სროლა აუტეხეს ყაჩაღებს. მახმესად ოღლი მოჰკლეს. სოიუნი კი გაიქცა. მძარცველებს იქ დარჩათ თოფები და ორი ცხენი.

ანგარიში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა.

სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ყოველ წლიწადს ბეჭდავს ხოლმე სასწავლებელთა მდგომარეობის ანგარიშს. ეს რამდენიმე დღეა რაც დარიგდა 1910-ის წლის ანგარიში. საზოგადო ნაკლი ამ ანგარიშისა ის არის, რომ სამოსწავლო წელი გრძელდება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე, ხოლო ანგარიში კი იწერება იანვრიდამ იანვრამდე; ამგვარად ანგარიში და სამოსწავლო წელი ერთმანეთთან შეფარდებული არ არის, ამისათვის ანგარიში, ჩემის აზრით, ვერ იძლევა იმისთანა მკაფიოდ გამოხატულ სურათს სწავლის განვითარებისას, როგორსაც ის მოგვცემდა მაშინ, ანგარიში და სამოსწავლო წელი ერთმანეთთან რომ ყოფილიყო შეფარდებული. სხვაფრივ ეს ანგარიში ყურადსაღებია, და მსურს ზოგიერთი ცნობანი მკითხველს გავუზიარო.

1910 წელს მთელ სამოსწავლო ოლქში ყოფილა:

1) სავაჟო გიმნაზია 23; აქედან ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში 8;

2) რეალური სასწავლებელი 20; საქართველოში კი—3;

3) სავაჟო პროგიმნაზია 10; საქართველოში—5;

4) საქალებო გიმნაზია 40; საქართველოში 12;

5) საქალებო პროგიმნაზია 5; საქართველოში 1;

6) საქალებო სასწავლებელი 80; საქართველოში 24;

7) სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებელი 23; საქართველოში 5;

8) საქალებო პროფესიონალური სკოლები 5; საქართვ. 3 (ორი ტფილისში, 1 ქუთაის);

9) მარინეს სასწავლებელი 9; საქართველოში 3;

10) სოსტატო სემინარია 8; საქართველოში 2;

11) პირველ დაწყებითი სკოლები 2836; საქართვ. 625;

12) კერძო სასწავლებლები 142; საქართვ. 72; ამათ რიცხვში შედის ორივე ქართული გიმნაზია.

მოსწავლეთა რაოდენობა მთელ ოლქში ყოფილა:

1) სავაჟო გიმნაზიასა და პროგიმნაზიებში 12405; ეროვნების მიხედვით:

რუსი 4849 ანუ	39,1 პროც.
ქართველი 2013 ანუ	16,3 „
სომეხი 3255 ანუ	26,3 „
თათარი 591 ანუ	18 „ და სხ.

2) რეალურ სასწავლებლებში 7095; ეროვნების მიხედვით:

რუსი 3704 ანუ	52,2 პროც.
ქართველი 655 ანუ	9,2 „
სომეხი 1003 ანუ	14,1 „
თათარი 583 ანუ	8,2 „ და სხ.

3) სატეხნიკო სასწავლებელი ორია მთელ ოლქში, ბაქოში საშუალო და მაიკოპში დაბალის ტიპისა.

ა) ბაქოს სატეხნიკო სასწავლებელში ყოფილა სულ 284 მოსწავლე, აქედან

რუსი 150 ანუ	52,8 პროც.
ქართველი 31 ანუ	10,9 „
სომეხი 47 ანუ	15,5 „
თათარი 13 ანუ	4,5 პროც.

და სხვ.

ბ) მაიკოპის დაბალ სატეხნიკო სასწავლებელში ქართველი ერთიც არა ყოფილა, თუმცა 1907-ში ყოფილა 4 ანუ 2,4 პროც.

4) სახელოსნო სასწავლებელი მთელ ოლქში ყოფილა 21; 1717 მოსწავლით, აქედან:

რუსი 1076 ანუ	62,7 პროც.
ქართველი 316 ანუ	15,4 „
სომეხი 127 ანუ	7,5 „
თათარი 114	6,8 პროც.

და სხვ.

5) საქალაქო სასწავლებელში ყოფილა სულ 16,022 მოსწავლე, 15,694 ვაჟი და 328 ქალი*.) ეროვნების მიხედვით:

რუსი 7398 „	46,1 პროც.
ქართველი 3318 ანუ	20,7 „
სომეხი 2864 ანუ	17,8 „
თათარი 1408 ანუ	8,8 პროც.

და სხვ.

6) საქალებო გიმნაზიებში (წმ. ნინოს სასწავლებლებიც შედიან) და პროგიმნაზიებში ყოფილა სულ 18.138 მოსწავლე, აქედან:

რუსი 9888 ანუ	54,5 პროც.
ქართველი 2349 ანუ	12,9 „
სომეხი 3730 ანუ	20,6 „
თათარი 128 ანუ	0,6 პროც.

და სხვ.

7) მარინეს სასწავლებლებში ყოფილა სულ 1823 მოსწავლე. აქედან:

რუსი 660 ანუ	32 პროც.
ქართველი 423 ანუ	23,2 „
სომეხი 590 ანუ	32,4 „
თათარი 9 ანუ	0,5 პროც.

და სხვ.

---

*) მთელ ოლქში საქალაქო სასწავლებელი 1872 წლის დებულებით არის 80, აქედან 17 სასწავლებ. შერეულია, ვაჟებიც არიან და ქალებიც. საქართველოში შერეული სასწავლებელი 1872 წლის დებულებით არ არის, თუმცა კი სასურველია, რომ იყოს.

ფრიდრიხ ნიცშე

წერილი მეხუთე. *)

ნიცშეს, როგორც პირველ წერილებში გვქონდა მოხსენებული, არც ერთს თავის თხზულებაში არ გადმოუცია თავისი მოძღვრება სისტემატიურად. ამ მხრით ისევ „მორალის გენეალოგია" გვაძლევს რამდენადმე საშუალებას მთელს მის მსოფლ-მხედველობის გაგებისას და ჩვენ ამ უკანასკნელის მთავარი ძარღვის ხელში აღებით და მის მოწაფეთა მაქს ცერბსტისა *) და რობერტ შელვაინის **) დახმარებით ვეცდებით სისტემაში მოვიყვანოთ დადებითი მხარე ნიცშეს მოძღვრების ნაკადისა.

არსებული მორალი „ადამაღლებს და ადმერთებს ანტიეგოისტურ ინსტიქტებს",—ინსტიქტთ თანაგრძნობისას, მოყვასისათვის თავის გაწირვისას, მოწყალებისას, სათნოებისას და სხვ. და სხვ. მაგრამ ამგვარი მორალი „მეტად საზარალო რამ არის კაცობრიობისათვის", ვინაიდან იგი ნიშნავს „დასასრულის ხელახლად დაწყებას, განვითარების შეჩერებას", ერთის სიტყვით, „იგი დაუცხრომლად მიდის ცხოვრების წინააღმდეგ". ამიტომ „საჭიროა მორალურ ღირებულებათა სწრაფი გაკრიტიკება. რატომა ჩქარობს ნიცშე მათს „გაკრიტიკებას?" რაა მიზეზი? მიზეზი ფრიად ყურადსაღებია, ვინაიდან „ამ ღირებულებათა ნამდვილი ღირებულება ჯერ კიდევ სადაო კითხვებს წარმოადგენს". აქნობამდინ ეჭვი არავის შეჰქონდა, რომ სიკეთე, სათნოება, უძვირფასეს ცნებათა-ცნებას წარმოადგენდა, დიად, ღირებულებათა ღირებულ ცნებას, ვიდრე ბოროტება, როგორც ამას მოითხოვს კაცობრიობის წინსვლა, მისი კეთილდღეობა, აყვავება აწმყოსი ; თუ მერმინდელი მისი ცხოვრების. მაგრამ აქ ნიცშე სკეპტიკის მთრთოლვარე ხელით შეგაჩერებთ და გეკითხებათ: მოიცა, ძმაო, „იქნებ სიკეთე, თქვენ მიერ აღიარებული სათნოება რეგრესის სიმპტომია, სიმპტომი გზა-კვალის აღრევის და უმეცრებისა? იქნებ ჭეშმარიტება სულ წინააღმდეგს ჰღაღადებდეს? იქნებ სათნოება შხამი იყოს, ერთგვარი საშუალება, რომლის გამო ამწყო მომავლის ხელზე სცხოვრობს? შეიძლება იგი უვნებელი რამ არის, მაგრამ იმავ დროს უდროული? ან შესაძლებელია, მორალი სახელდობრ ის მიზეზია, რომლის გამოისად ადამიანმა აქნობამდინ ვეღარ აღახწია თავის დანიშნულებას, თავის დიდების კულმინაციის წერტილს? განა არ შეიძლება, მორალი ის განსაცდელი იყოს, რომელსაც მხოლოდ სხვაში ვხედავთ, რომლისაგანაც ყოველდღე ვილტვით?"

ამ კითხვებით მოგვმართავს ნიცშე თავის „მორალის გენეალოგიის" შესავალში და შემდეგ შეუდგება არსებულ მორალის წარმოშობის, მის განვითარების გამოკვლევას ხალხთა შორის.

ვიდრე ადამიანთა ცივილიზაცია დაიწყებოდა, ნიცშეს აზრით, არსებობდა „ველური ცხოველი, დიდებული ქერათმიანი პირუტყვი, რომელიც საზრდოს დაეძებდა", ეს „თავისუფალ იალაღზე გამოშვებული ცხოველი სრულიად განთავისუფლებული იყო ყოველგვარ სოციალურ თანამდებობისაგან. არავითარი სინდისი მან არ უწყოდა, რის გამოც თამამად, სრულიად გულდამშვიდებით, თითქოს საქმე სამეცნიერო საქმეთ შეეხებოდეს, იგი ჰქლავდა ირგვლივ ყველას, ჰხოცავდა, სწვავდა, მრუშობდა, ყველას სტანჯავდა, ვინც კი გზაზე ეღობებოდა. ქერა ცხოველმა თავის მგზავსებთან ერთად დააარსა უმაღლესი რასა (მოდგმა), ამიერიდან იგინი შეერთებულის ძალით ეცემოდნენ სუსტსა და უმნიშვნელო მოდგმათ, სჯაბნიდნენ მათ და მონის უღელს ადგამდნენ". „ქერა თმიან ველურ ცხოველთა ნახირი, ანუ დამპყრობთა რასა, მალე მხედრულ ორგანიზაციას განამტკიცებს, რომელიც არ კმაყოფილდება არსებულ მდგომარეობას, იპყრობს ახლებს, ოღონდ ყოველთვის და ყოველგან დაპყრობილთ თავის ძლიერ თათის რკინის ბრჭყალებით მონობის ღალს ასვამს მათ ზურგზე, რომელნიც, შესაძლებელია, ხშირად მათ რიცხვითაც აღემატებოდნენ, მაგრამ უბინადრობისა გამო, დაფანტულიყვნენ და საერთო ძალა დაექსაქსნათ. ამნაირად არსდება სახელმწიფო". შემდეგ ნიცშე ლახტს გადაჰკრავს ჟან-ჟაკ რუსსოს, თუმცა სახელით არ ახსენებს, რომ „სულელურ ბოდვად მიმაჩნია, როდესაც გვარწმუნებენ, ვითომც სახელმწიფო მშვიდობიან ხელშეკრულობით დაარსებულიყოს! ასეთი აზრი დიდი ხანია დავიწყების დავთარს ჩაეწერა. რად ესაჭიროება ხელშეკრულობა მას, ვინც რომ მკლავში ჰგრძნობს თავის ძალას, ვისაც რომ ძალუძს ბრძანებლობა, ვინც რომ ბუნებითვე ბატონად არის გაჩენილი, ვინც აღჭურვილა ძლიერი ნებით, ძლიერი ინსტიქტებით".

ამგვარად აღორძინებულ სახელმწიფოში ფეხს იკიდებს ორი რასა: გამარჯვებულთა — ბატონებისა, და რასა დამარცხებულთა, ანუ მონებისა. მორალური ცნებანი პირველად ბატონებიდან წარმოვიდა. მათ დასდეს განსაკუთრებული ზღვარი სიკეთისა და ბოროტების შუა. „კარგი" იყო ყველაფერი ის, რაც მათ აამებდათ და აამაღლებდათ, ხოლო „ბოროტი", რაც ვნებას მიაყენებდათ. „კარგი" მათის აზრით იყო ის, რითაც იგინი განირჩეოდნენ მეორე რასსაში, ხოლო „ბოროტი", რაც რომ მეორე რასსის ძირითად თვისებას შეადგენდა. „კარგად" ისინი სთვლიან სიმკაცრეს, სიგულქვავეს, ამაყობას, მამაცობას, შურისძიებას, აღფრთოვანებას დიად სულით ყოველგვარ ფათერაკის გადასალახავად, ხოლო „ბოროტია"—შიში, სიმხდალე, ამასთანავე, წვრილმანი სულის ადამიანი, რომელიც მხოლოდ წვრილმან სარგებლობასა ჰფიქრობს". ამასთანავე მათ (გამარჯვებულთ) ეზიზღებოდათ უნდობარი ადამიანი. ეს ვაჟკაცობის სიამაყის დამამცირებელ თვისებად ითვლებოდა. ოთხფეხსაა საკადრისია მსუნაგი ლაქუცი და განსაკუთრებით მელური გაიძვერობა და პირმოთნეობა".

ასეთი იყო ძლიერთა მორალი. ძირითადი მნიშვნელობა იმ სიტყვისა, რომელიც „სიკეთის" ცნებასა ჰსახავს, გვიჩვენებს, თუ რა ესმოდათ ძველად, როდესაც „სიკეთეს" ახსენებდნენ. ეს იყო ბატონთა მორალის დღესასწაულის დროს.

„ლათინური **bonus**, ამბობს ნიცშე,—თუ არა ვცდები, ნაწარმოებია **duonus**-იდან (აქედან მთელი რიგი: **bellum=duellum=duenlum.** საიდანაც ჩვენ ვიღებთ **duonus**). მაშასადამე, **Bonus** წინად ნიშნავდა მოჩხუბარსა, უწინარეს ყოვლისა, მებრძოლ ადამიანს. აი, სახელდობრ, რას ეძახდნენ ძველად რომში „კარგს", ანუ „კეთილს".

თავის მხრით, რასაკვირველია, დამარცხებულ რასასაც აქვს თავისი საკუთარი მორალი, მაგრამ ეს მორალი არის მონური მორალი. „მონა შურის თვალით უყურებს ძლიერის სათნოებას: იგი სკეპტიკის თვალით უყურებს ყოველისფერს, რაც მათ შორის „კეთილად" არის აღიარებული. მას ღრმადა სწამს, რომ იქ თვით ბედნიერებაც არ არის ჭეშმარიტი ბედნიერება, აქ კი, პირ იქით, სულ სხვა თვისებანი და ხარისხია ტანჯულთა შვების მისაცემად; თანაგრძნობა, გულშემატკივრობა, ხელის მიცემა, მხურვალე, წრფელი გული, მოთმინება, ალერსი და მრავალი სხვა, რაიც ხელს უწყობს ადამიანს აუტანელ ცხოვრების მოთმენაში და მის უდრტვინველად გადატანაში".

ერთ დროს ეს ორი რასა ერთადა სცხოვრობდა, უკეთ, ერთი მეორის უღელს ქვეშ. ამ შემთხვევაში ნიცშე „მეტად ბევრს, ანუ გარდაჰამეტებს" (**Yiel-zu Vielen**),—მეტად მწყრალად უყურებს. მასსა მისთვის მხოლოდ საზარბაზნე ლეშს წარმოადგენს. არსებობისთვის ატეხილს ბრძოლაში თავს მხოლოდ რჩეულნი იჩენენ, ეს რჩეულნი კი, ძლიერნი არიან, რომელნიც, როგორც ზემოდაც ვსთქვით, მისი აზრით მართლაც სამართლიანად ბატონობენ. ცხოვრება ეს ბრძოლაა ყველასი ყველას წინაშე,—**bellum omnium contra omnes**, გამარჯვებულნი ძლიერნი რჩებიან, რომელნიც ერთიორად განიმტკიცებენ თავიანთ ძალას, თავიანთ უპირატესობას. ბუნებასა ჰსურს ძლიერის გამარჯვება, ამ შემთხვევაშიც ძლიერთა უფლება ისევ ბეხების სუბაზე არის დამყარებული.

მაშასადამე, ხსნა, ნიცშეს აზრით, არა მასაზე არის დამოკიდებული, არამედ ძლიერ პიროვნებაზე ძლიერ ინდივიდუუმებზე და კაცობრიობას მათგანვე უნდა გაეღოს კარები თავის ზეარსთ სამეუფეოში.

მაგრამ შემდეგში მოხდა რაღაც უცნაური რამ: მონათა მორალი წინააღუდგა ძლიერთა მორალს (**Sklavenaufstand der Moral**) დაამარცხა იგი, თვის სამეუფეო ტახტიდან ჩამოაგდო და მის ადგილას გაბატონდა. აქედან წარმოსდგა ყველა მორალურ ცნებათა დაფასება, ანუ, როგორც თვით ნიცშე ამბობს, გარდაფასება ყოველგვარი ღირებულებისა". ყოველიფერი ის, რაც ძლიერთა ხელში „კარგის" სახელით იყო აღნიშნული, სულ წინააღმდეგ სახელით მოინათლა და პირ-იქით: უპირატესობა ენიჭებათ სუსტებს; სიმკაცრე, აულაგმავი ინსტიქტები, ეგოიზმი და მაშასადამე, მასთან მამაცობა, ენერგია, პატივმოყვარეობა, ნება-ძალისადმი, სამსჯავროს გარეშე გამოაცხადეს, სათნოებად კი მონურ გულთა თქმის გაღმერთება ჩასთვალეს. გულშემატკივრობა, სიყვარული, ერთურთის დახმარება, ერთ სიტყვით ყველა ის, რაც რომ მონებს შვებას მისცემდა. ამნაირად მოხდა ის, რაც ზემოთაც ვსთქვით და რასაც ნიცშე იმეორებს თითქმის ათასჯერ: მონათა აჯანყება მორალის ფარგლებში.

საიდან წარმოხეთქა ამ მღვრიე ნაკადულმა?

პირველად ებრაელებმა მოახდინეს ეს სასწაული არსებულ ღირებულებათა შეცვლის შესახებ. მათმა წინასწარმეტყველებმა ერთ ცნების ქვეშ დააყენეს „სიმდიდრე", „უღმერთო-

---

იხ. „სახ. გაზეთი" N 357.

*) Dr. Max Zerbst, Nein und ja.

**) Robert Sechllwein, Max Stirner und Friedrich Nietsdhe.

8) საქალებო საპროფესიო სკოლებში ყოფილა 696 მოსწავლე, აქედან:

რუსი 507 ანუ . . . 72,8 პროც.
ქართველი 117 ანუ . . 17 „
სომეხი 36 ანუ . . . 5,9 პროც. და სხვ.

9) საოსტატო სემინარიებში ყოფილა 664 მოსწავლე, აქედან:

რუსი 386 ანუ . . . 68,1 პროც.
ქართველი 84 ანუ . . 14,2 „
სომეხი 47 ანუ . . 7,1 „
თათარი 70 ანუ . . 10,6 პროც. და სხვ.

საოსტატო ინსტიტუტში ყოფილა 115 მოსწავლე, აქედან:

რუსი 88 ანუ . . . 77,5 პროც.
ქართველი 9 ანუ . . 7,8 „
სომეხი 4 ანუ . . . 3,5 პრ. და სხვ.

11) პირველ-დაწყებით სკოლებში ყოფილა 261,683 მოსწავლე. აქედან:

რუსი 159,477 ანუ . . 60,9 პროც.
ქართველი 41,046 ანუ . 15,7 „
სომეხი 25005 ანუ . . 9.5 „
თათარი 12837 ანუ . . 4,9 პროც.

12) კერძო სასწავლებლებში რამდენი მოსწავლე ყოფილა ეროვნებათა მიხედვით, ანგარიშში არ არის ნაჩვენები, მხოლოდ ქართულ ორივე გიმნაზიაში ყოფილა 1398 მოსწავლე, ტფილისისაში 761, ქუთაისისაში 637.

შედარებით 1909 წელთან ქართველების რიცხვს მოუმატნია: სავაჟო გიმნაზიებში 2 პროც., საქალებო გიმნაზიაში 0,2 პროც., მარინეს სასწავლებელში 5,1 პროც., ბაქოს სატეხნიკო სასწავლებელში 0,6 პრ., საქალაქო სასწავლებელში 0,2 პრ., პირველ-დაწყებით სკოლებში 0,6 პროც.

ქართველების რიცხვს დაუკლია: რეალურ სასწავლებლებში 0,7 პროც., საოსტატო ინსტიტუტში, საოსტატო სემინარიებში 3,9 პროც. სხვა სასწავლებლებში ნაჩვენები კი არ არის;

მზრუნველის ანგარიშში ერთი ფრიად ყურადსაღებო ცნობაა მოყვანილი, ნაჩვენებია, თუ რამდენ ქართველს უსწავლია თავისი სამშობლო ენა. ქართული ენა გიმნაზიებში, უსწავლია 2013 ქართველიდან მხოლოდ 1629 ანუ 80,9 პროც., სხვა ეროვნების მოსწავლეებს ქართული ენა 26 კაცს უსწავლია.

რეალურ სასწავლებლებში ქართული ენა უსწავლია 656-ას ქართველიდან მხოლოდ 448-ს ანუ 68 პროც. (1909-ში კი ქართული ენა უსწავლია 82 პროც.) სხვა ეროვნების მოსწავლეებს ქართული ენა უსწავლიათ 14.

საქალებო გიმნაზიებში ქართული ენა უსწავლია 2349 ქართველიდან მხოლოდ 1573 ანუ 67 პროც. (1909 წ. კი უსწავლია 65 პროც.).

1910 წლის განმავლობაში ქართული ენის მასწავლებლობის მისაღები გამოცდა მხოლოდ ერთს დაუჭერია.

ან ანგარიშებიდანა ვხედავთ, რომ ქართველების რიცხვს ძალიან დაუკლია საოსტატო ინსტიტუტში და სემინარიებში. მასწავლებლები კი ამ სასწავლებლებიდან გამოდიან. თუ ამისთანა ნაბიჯით წავიდა წინ ქართველების შემცირება ამ სასწავლებლებში, იმისთანა დროც დადგება, როცა ქართველი მასწავლებელი სანთლით საძებარი გახდება, და აქედან იბადება საკითხი ქართულ საოსტატო სემინარიის დაფუძნების შესახებ. საქართველოში მხოლოდ ორი საოსტატო სემინარიაა: გორში და ხონში. ორივეში სწავლობს 213 მოსწავლე და ამათში მხოლოდ 94 ქართველი, რამდენიმე სომეხი და თათარი და ნახევრამდის რუსები. ჩრდილო კავკასიაში კი ხუთი სემინარიაა; მთავრობა, მაშასადამე, მოვალეა ამიერ-კავკასიაში კიდევ გახსნას რამდენიმე საოსტატო სემინარია და უპირატესობა ადგილობრივ მკვიდრთ მიანიჭოს, რადგანაც დაბალ სასწავლებლების ასაყვავებლად, როგორც თვით მზრუნველი ამბობს, იმისთანა მასწავლებელია საჭირო, რომელიც ახლოს სდგას ხალხთან, მისი ჭირ-ვარამი ესმის და შეუძლიან მისცეს შესაფერი პრაქტიკული დარიგება.*)

და აბა, უცხო ტომის მასწავლებელი, რომელმაც არ იცის ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ენა, როგორ იდგება ხალხთან ახლოს?.. თუ მზრუნველს მართლა გული შესტკივა და ჰსურს „ველურები" გაანათლოს (თავის დასკვნებში მზრუნველი ადგილობრივ მკვიდრთ იხსენიებს არა კულტურულ ხალხად) მაშინ ადგილობრივ მკვიდრთ ფართე გზა უნდა მისცეს სემინარიებში და საოსტატო ინსტიტუტში შესვლისა, ადგილობრივი ენები ყველა ამ სასწავლებლებში მოსწავლეთათვის აუცილებელი უნდა გახადოს, აგრეთვე აუცილებელი უნდა იყოს ადგილობრივ მკვიდრთა ისტორია—ლიტერატურის შესწავლა... ასე მომზადებული მასწავლებელი, მართლა რომ ხალხთან ახლოს იდგება.

დასასრულ, ერთი ფრიად სასიამოვნო შედარება. სახალხო განათლების მხრივ კავკასიის სამოსწავლო ოლქში პირველი ალაგი უჭირავს კუბანის ოლქს, მეორე ქუთაისის გუბერნიას. კუბანის ოლქში სწავლობს 71,123 მოსწავლე, ქუთაისის გუბერნიაში კი 28,219 მოსწავლე. კუბანის ოლქში 3312 მასწავლებელია, ქუთაისის გუბერნიაში კი—1086. სკოლების რიცხვის მხრივ კი ქუთაისის გუბერნიას მესამე ალაგი უჭირავს. კუბანის ოლქში 864 სკოლაა, სტავროპოლის გუბ. 407, ქუთაისის გუბ. კი 393.

ამ მხრივ ტფილისის გუბერნია ძალიან ჩამორჩენილია.

1910 წლის ანგარიში თვით მზრუნველის დასკვნანია საინტერესო. იქ მზრუნველი ეხება კავკასიის სკოლის სხვა და სხვა საჭიროებას და თავისი მოსაზრებანი მოჰყავს. ამაზე შემდეგ.

გიორგი ბურჭულაძე.

---

*) „Заключеніе попечителя", Отчетъ 1910 г. გვ. 231.

კიდევ ცოტაოდენი განმარტება

(ქართულ თეატრის შესახებ).

„სახალხო გაზეთი"-ს 26 ივლისის ნომერში ის აზრი მქონდა გამოთქმული, რომ ყოველს დიდს საქმეს და სათეატრო ხელოვნებას განსაკუთრებით, თუ საქმის სპეციალისტები, მცოდნენი არ ჩაუდგებიან, მისი სასურველ ნიადაგზე დაყენება შეუძლებელია. როგორც სწავლა-განათლების საქმეს გამოცდილი პედაგოგები უნდა ჰპირისუფლობდნენ, როგორც ყოველ ხელობას და ხელოვნებას თავისი სპეციალისტები ანვითარებენ, აგრეთვე სათეატრო საქმესაც უნდა ჰყავდეს თავისი სპეციალისტები-მეთქი. ხელოვნებასაც უნდა ჰყავდეს მისთვის მიჩენილი და თავდადებული ქურუმნი-მეთქი, მაგრამ ეს მარტივი ჭეშმარიტება ზოგიერთისთვის გაუგებარი შეიქმნა და ბოლოს ბ. კონსტან. ანდრონ. გაზეთ „თემში" ერთობ მკაცრად მოგვექცა. ბ. კონსტანი ბრძანებს: „დრამატურგია არის საფუძველი, საძირკველი სასცენო ხელოვნებისა, რომ ყველგან და ყოველთვის ამ საძირკველზე შენდება ის დიდი შენობა, რომელსაც თეატრს უწოდებენ... ორიგინალური დრამატურგიაა ეს საფუძველი"-ო. სწორედ ამერიკის ხელმეორედ აღმოჩენაა. სად შეხვედრია ბ-ნი კონსტანი ისეთ აზირებულს ადამიანს, რომელსაც ეს საანბანო ჭეშმარიტება უარეყოს!

ბ-ნ კონსტანს, რომ კარგად ყური დაეგდო დრამატიულ საზოგადოების კრებებზე წარმოთქმულ აზრებისათვის, დარწმუნდებოდა, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელიც საჭიროდ არა სცნობდეს ორიგინალურ დრამის აყვავებას. მაშინ იგი მიჰხვდებოდა, რომ ღია კარებში შეჰრა არაფერი ვაჟკაცობაა და ათასგზით გადაღეჭილი აზრები არ საჭიროებენ დაცვას. ამიტომაც არაფერი ვსთქვით ჩვენს წერილში ორიგინალურ პიესებზე, პრემიებზე და სხ. და სხ. ჩვენ შევეხეთ მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთაც ან სულ არ აქცევენ ყურადღებას და ან უარყოფით უცქერიან. ასეთი საკამათო საკითხია ქართული სადრამო კურსები. ქართული კურსების საჭიროება დრამატიულ საზოგადოების გამგეობას არა თუ საჭიროდ მიაჩნია, იმას სასწავლო გეგმაც კი შეუდგენია, მაგრამ უსახსრობის გამო ჯერ-ჯერობით მის შესახებ ლაპარაკიც არა ღირსო. მართლადაც, უსახსრობა ისეთი მიზეზია, რომლის წინაშე ძალა-უნებურად იარაღს დაჰყრით, მაგრამ როდესაც მისს საჭიროებაზე ვსწერდით, ჩვენ ეს სამერმისო საკითხად მიგვაჩნდა, რომლის განხორციელებას თან და თანობით უნდა მიუახლოვდეთ, და მასთან მხედველობაში გვქონდა სუბსიდია, ურომლისოდაც ჩვენში ერთი საქმეც არ ხეირობს. ამასთანავე მხედველობაში გვქონდა ის 35—41 ათასი მანეთი, რომელსაც გამგეობა ვარაუდობს.

ქართული კურსების საჭიროება ყველასაგან აღიარებულია, მხოლოდ სადავო ის არის, ვინ უნდა იყოს მწვრთნელი მასწავლებელი ამ სკოლისა.

მართალია, ბევრი რამე არის მოწმე იმისა, რაოდენს ზიანს გვაძლევს ჩვენ უცხო ნიადაგზე მიღებული ცოდნა. უკვე ტრუიზმადაა გადაქცეული ჩვენი ინტელიგენციის მხილება—ეროვნულ ნიადაგზე არა სდგასო. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია ყოველივე სავალალო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში პირისუფლთ გულს გვიკლავდეს, მაგრამ ამასთანავე ტყვის მსგავსად უნდა ვერიდებოდეთ ყოველს ცალმხრივობას და გაზვიადებას. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თუ ქართველი ქართულს ივიწყებს ან ამახინჯებს და მისი ლაპარაკი რუსიზმებით არის სავსე, ეს იმიტომ კი არა რომ იგი უმაღლეს სასწავლებელში ივიწყებს მას; მიმოიხედეთ და დამეთანხმებით, რომ ეს სენი საერთოა იმათთვისაც, ვინც ქუთაისს და ტფილისს არც კი გასცილებია. ვერ დამისახელებთ ვერც ერთს მაგალითს, რომ ახალგაზდას კარგად სცოდნოდეს მშობლიური ენა და უცხოეთში დაევიწყებინოს იგი. ჩვენ ათასობით ვაგზავნით ახალგაზდობას უცხოეთში, ათასობით ვასწავლით რუსულ სასწავლებლებში და ესენი ხვალ და ზეგ ჩვენი მწერლები, ჩვენი პუბლიცისტები, ჩვენი მასწავლებლები იქნებიან. ჩვენ ამ მოვლენას კი ვურიგდებით, მაგრამ რატომ, როდესაც საქმე თეატრზე მიდგა, აქ ყვირილი დავიწყეთ, რუსულ და საზღვარ-გარეთულ სასწავლებელში გადააგვარებენ ჩვენს ნიჭიერს ახალგაზდასაო.

დრამატიულ საზოგადოების კრებებზე ამტკიცებდნენ: არტისტისათვის დიქციას უპირველესი ადგილი უჭირავს, პლასტიკას და სხ. დრამისათვის ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, ყველა ამას კი რუსულ კურსებზე რუსულად ასწავლიან და, მაშასადამე, ქართულ თეატრისათვის იგი გამოუსადეგარი იქნებაო. სამი წლის განმავლობაში სულ გადააგვარებენ ჩვენს ახალგაზდასაო. ყოვლის უწინარეს აღსანიშნავია, რომ ბევრს ამ კურსების ახლოც არ გაუვლია და ეს „ქართული დიქცია" მაინც არა აქვს, მაგრამ ეს არგუმენტი არსებითად შემცდარია. თავდაპირველად, დეკლამაციისა და ბუნებრივი დიქციის პრინციპი ბუნებრივობაა.

მაშინ, როდესაც რუსული სადრამო სკოლა ისახებოდა, სცენაზე გაბატონებული იყო კლასიკური დრამა, უკეთ რომ ვსთქვათ, ცრუ კლასიკური დრამა ყველა თავისი ატრიბუტით და, მაშასადამე, ის დიქცია, თუ დეკლამაცია, რომელიც სცენაზე სუფევდა და სკოლამ აიტაცა, ყალბი და არა ბუნებრივი იყო, როგორც ის გრძნობანი, რომელთაც ამ დეკლამაციით გამოსთქვამდნენ. ჩვენს დროში ზურგი შეაქციეს კლასიკურ მანერას დრამაშიაც და სცენაზედაც სხვა პრინციპი აღიარეს სახელმძღვანელოდ. თანამედროვე დრამას არც კი დაერქმის დრამა, პიესა იმ მხრით, რა აზრითაც ამ ათიოდე წლის წინად ამბობდნენ. თანამედროვე დრამას, სცენები, ცხოვრების სცენები ეწოდება, აქ არ არის უმთავრესი გმირი, აქ მოქმედება ერთი პიროვნების გარშემო აღარ ტრიალებს, ახლა დრამა რთული ცხოვრების სურათია და ცხოვრებაში ყოველ პიროვნებას თავისებურად პირველი როლი აქვს მინიჭებული. აწინდელ პიესაში და სცენაზე არ არის „უმთავრესი", „უმნიშვნელო როლი",— იქ ყოველივე როლი მთავარი, აუცილებელი, საყურადღებოა. რაც შეიძლება მეტი ბუნებრივობა და ცხოვრებასთან, მის სინამდვილესთან მეტი სიახლოვე, რაც შეიძლება ნაკლები ყალბი პაფოსი, ნაკლები შაბლონი, აი ლოზუნგი მომავალი სათეატრო ხელოვნებისა. შეცდომაა ვიფიქროთ, სადრამო კურსებზე მხოლოდ დიქციას ასწორებდნენ და მშრალს დეკლამაციას ათვისებინებდნენ. დრამატიული ხელოვნება და დახელოვნება იმაში მდგომარეობს, ადამიანს შეეძლოს ადამიანის ყოველგვარ გრძნობათა და ვნებათა ბუნებრივად გამოთქმა და გამოხატვა, ეს სიკეთე კი ისე ესაჭიროება ჩვენს სცენას, როგორც თევზს წყალი, ყოველს სულდგმულს—ჰაერი.

შემდეგ უნდა დამეთანხმოთ, მარტო მომღერალს კი არ ესაჭიროება ხმის „გამართვა" (**постановка голоса**), არამედ ყოველს არტისტს. შეუძლია ერთი და იმავე ხმით, ინტონაციით საუბარი გულის სატრფოსთან, ამავე ხმით და ინტონაციით მწუხარებისა ან სიხარულის გამოხატვა. იმის უარესი არა არის რა, როდესაც არტისტი კი არ ებატონება და ეუფლება თავის მშვენიერ ხმასა, არამედ პირიქით ეს უკანასკნელი ეუფლება არტისტს. ეს სენი სჭირს თითქმის ყველა ჩვენს არტისტს და, მაშასადამე, აუცილებელია ამის კანონების შესწავლა. ყოველი კლასის (სოციალური ჯგუფის წარმომადგენელს, კულტურის სხვა და სხვა წრის წევრს აქვს თავისებური მხოლოდ მისი დამახასიათებელი მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკის მანერა, იერი და მაშასადამე არტისტი იმდენად მოქნილი არსება უნდა იყოს, რომ სრული ილუზიის შექმნა შეეძლოს. მაშასადამე არტისტი უნდა განათლებული და კულტურული ადამიანი იყოს. არტისტი თუ არ ჩასწვდა პიესის აზრს, თუ ვერ შეიგნო ტიპის თავისებუ-

---

*) რედაქცია ამ წერილში გამოთქმულ აზრებს სავსებით არ ეთანხმება.

ბა", „ძალდატანება", „ახოვნება" თუ „გრძნობიერება" და მრავალი სხვა, და ამით ჩაჰკლეს და შეჰმუსრეს ყოველივე სასიქადულო ადამიანური ღირსებანი, სწორედ ამითვე დაადეს, ნიცშეს აზრით, „მთელ მსოფლიოს" სამარცხვინო და უმზგავსოების დაღი. სადღაა ძველი ნება ძალისადმი, რითაც თავი მოჰქონდათ ძველის-ძველს ბერძნებს, ანუ ურომლისოდაც დაიღუპა დიდებული რომის იმპერია და მასთან ერთად ბოლო მოეღო ანტიურ კულტურას? აღარ არიან ალექსანდრე მაკედონელნი, კეისარნი, კარლოს დიდები თუ ნიცშეს საყვარელნი ჩეზარე ბორჯია და ნაპოლეონი, ეს ის ზეპიროვნული ადამიანები, რომელნიც მთელს ისტორიას აზრს აძლევდნენ?—განჰქრნენ! კაცუნები კი, რომელნიც ჭიანჭველასავით მოსდებიან მთელს მსოფლიოს, არაფრად ღირან, მათ მხოლოდ ტირილ-ჩივილი, მოთქმა-გოდება და გამოთაყვანებული ხარხარი იციან, თუ კი შემთხვევა მოეცათ.

ამნაირად, ნიცშეს აზრით ებრაელური აჯანყება, ანუ „მონათა აჯანყება მორალის ფარგლებში" ნიშნავდა მონათა ამხედრებას, შურის საძიებლად განმზადებას, ძველ ბატონთა წინააღმდეგ გალაშქრებას. ამ შურისმაძიებელ იარაღად გამოჩნდა „მესსია!". „ნუ თუ ელმაცერი გზა არ იყო ეს გზა, რომელიც ისრაელმა აირჩია შურის საძიებლად, ხოლო იარაღად თავის მესსია დაისახა? ნუ თუ შურისმაძიებელ პოლიტიკას, შავბნელ ჯადოსნურ თვალთმაქცობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისრაელმა თვითვე უარჰყო მთელ მსოფლიოს წინაშე, ვითარცა მომაკვდინებელი ჩახვილი, თავის შურის საძიებელი იარაღი—მესსია, რომელიც ჯვარს აცვა, რათა „მთელი ქვეყანა", ე. ი. ისრაელთა მტერნი პირდაპირ ამ მახეში მოემწყვდია? და განა შეიძლებოდა უკეთესი იარაღის ანუ საშუალების გამოძებნა მტრის დასაჭერად?" შემდეგ ნიცშე ეხება ჯვარცმას, ვითარცა „სიმბოლოს მკაცრი კარდაწყვეტილებისას", რათა მსოფლიო დაეხსნათ და მტკიცედ დასძენს: „ისრაელი თავისი შურისძიებით და ყოველ ღირებულებათა გარდაფასებით ყოველ მაღალ იდეალებს აღემატებოდა და აღემატება კიდეც" (მორალის გენეალოგია).

ამ ჰიპოტეზის თაობაზე „ღირებულებათა გარდაფასებაზე" და „მონათა აჯანყების შესახებ მორალის ფარგლებში", სამართლიანად უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ცვალებადობა არ მომხდარა ბუნებრივად, მშვიდობიანის გზით, არა ყოფილა ორგანიული თანდათანობითი ზრდა ახალს პირობებში, არამედ იგი გამოიხატა ძალდატანებით. იგი ფრიად ძლიერი ნახტომი იყო, შეუსაბამო გამკლავება, უგუნური გამოლაშქრება. ამიტომ იყო, რომ არა თუ მარტო ის, რაც წინად ბოროტებად იყო აღიარებული სიკეთის სახელით აღინიშნა, არამედ თვით ეს გარდაფასებაც უეცრივად მოხდა, ერთის შეხედვით, თითქმის მაშინალურადაც კი. იგი ერთს მშვენიერს დღეს საჯაროდ იქმნა გამოცხადებული ამ ახალის სახით, გუშინდელი, ანუ ორიოდე წუთის წინ ღირებულებად აღიარებული, უკვე სულ სხვა ფასებში იქმნა გამოცხადებული.

ამნაირად, მონათა აჯანყების შემდეგ მორალის ფარგლებში, ცხოვრება თუ დღემდე ბედნიერებასა და ნეტარებას წარმოადგენდა, თუნდაც, ვსთქვათ, მარტოოდენ რჩეულთათვის, ანუ ძლიერ პიროვნებათათვის, მამაც კეთილშობილ ინდივიდუუმებისთვის უეცრივ ტანჯვის სარბიელად გარდაიქცა. ამ აჯანყებაში ნიცშე ჰხედავს არაბუნებრიობის გამეფებას, დაკნინებას, რომლითაც კაცობრიობა მოსპობის გზას დასდგომია. ნორმალ ადამიანის ძირითად ინსტინქტს ხომ უარისყოფა არ შეადგენს, არამედ სიმკაცრე, ეგოიზმი. „შეურაცხყოფა, ძალდატანება, ექსპლოატაცია და სხვა, თავის-თავად რაღაცა „უმართლო" რამეს არ წარმოადგენს. ცხოვრება თავის არსებით თვისებათა გამო მოახდენს ძალმომრეობას, ექსპლოატაციას, ნგრევას ერთის მხრით, ხოლო მეორეთი კი—შენებას. ასეთია ცხოვრების ძირითადი ფუნქციები და სხვა რომელიმე მას არას დროს არ შეეძლება. წესიერება ცხოვრებისათვის საწინააღმდეგო პრინციპს წარმოადგენს, რომელიც ჰხრწნის და აკნინებს ადამიანს, სპობს მის მორალს. იგი ნიშანია დაღლილობისა, რომელიც ფარული გზით არყოფნის მხარეს ეწევა ადამიანს" (გენეალოგია მასალისა).

შემდეგ ნიცშე გარდაწყვეტით დასძენს, რომ „თითქმის დღესაც, მეცნიერების პირბადის ქვეშ, ყველგან საზოგადოების მომავალს ბედიღბალს ოცნებობენ, რომელსაც, ვითომც, ექსპლოატაციის ხასიათი აღარ ექმნება. ყურში ყველა ეს ატეხილი ღრიანცელი მეტისმეტად გამყივარ ხმით მოესმის. ასე გავიგე, თითქოს მათ ჰსურთ ისეთი ცხოვრების მოწყობა, რომელიც მოკლებული იქნება ყოველგვარ ორგანიულ ფუნქციებს. „ექსპლოატაცია" სრულებითაც პირვანდელ საზოგადოების თვისებას არ წარმოადგენს. იგი ეკუთვნის ცოცხალ არსებას, ვითარცა ძირითადი ორგანიული ფუნქცია (გენეალოგია მასალისა).

არა, ყოველ მეცნებათ დაფა უნდა დაიმსხვრეს! ამბობს ნიცშე: „არსად იმდენი უგუნურება არ მომხდარა,—განაგრძობს იგი,—როგორც თანამგრძნობთა შორის.,. ვაი მას, ვისაც იმაზე მეტი მწვერვალი არ მიაჩნია წინ სასრბოლველად, როგორიც შებრალებაა"! (ზარატუსტრა). „კეთილთა შორის ცხოვრება გასწავლის სიცრუეს. თანაგრძნობა ჰხუთავს ჰაერს თავისუფალ სულთათვის... მათ მიმდევარს ვუწოდებ მესაფლავეს"..· (ზარატუსტრა). ანუ შემდეგი ადგილი: „ნუ დაინდობ მოყვასსა შენსა! ამას გიკარნახებს შენ სიყვარული შორეულისადმი. მოყვასი არის რაღაცა, რომელიც უნდა დასთმო". ანუ კიდევ ცოტა ქვემოდ: „ერიდე კეთილთ. იგინი არასოდეს მართალს არ გეტყვიან. ვინაიდან, რასაც იგინი უწოდებენ ბოროტებას: უმაღლესი მამაცობა, ხანგრძლივი უნდობლობა, სასტიკი „არა", უღრესი ხალხთა სიძულვილი, ნიჭი და სურვილი ყოველიფრის ეწინააღმდეგო,—ყველა ეს უნდა არსებობდეს იქ, სადაც ჭეშმარიტება უნდა იშვას!" (ზარატუსტრა).

ულმობლობა და შორეულისადმი სიყვარული იმდენად უნდა აღაფრთოვანებდეს თვითოეულ ინდივიდუუმს, რომ მის გულისათვის მზად იყვეს ყოველიფერი დასთმოს. დაე „თქვენ იყვეთ ლტოლვილნი სამშობლოსა თქვენისა მამათა და წინაპრებისათა. თქვენ ეტრფოდეთ არა მამათა სამშობლოს, არამედ სამშობლოს შვილთა თქვენთასას"! (ზარატუსტრა).

როგორც ვხედავთ, ადამიანის ძირითადი ინსტიქტი ულმობელობაზე ყოფილა დამყარებული. ახალს მორალში მას არავითარი ადგილი დაუთმეს. ამისდა მიუხედავად ბუნებრივ ინსტიქტის აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელია. იგი განაგრძობს არსებობას და ითხოვს დააკმაყოფილონ. და აი, მისი გამოსავალი კარიც აღმოაჩინეს: „ყველა ის ინსტიქტები, რომელნიც თვალ-საჩინოდ არ ქვეყნდებიან, ისევ შიგნით უბრუნდებიან ადამიანს. ხოლო ის საზარელი მხეცი, რომლის მეთაურადაც დანაშაულობა და სასჯელი უნდა დაისახოს, რომლითაც თვით სახელმწიფო იფარავს თავს, ველურ ადამიანის თავისუფალ ინსტიქტს წარმოადგენს, რომელიც დღეს ადამიანის შიდა ბუნებაში დამწყვდეულა და კვნესა-ბლუილით, თავპირის კაწვრით ისევ თავის-თავის წინ ამხედრდება. მტრობა, სიმკვირცხლე, მამაცობა, დევნის წყურვილი, დაცემანი, ულმობელიბა, ნგრევა და ძლევა—ყველა ეს ამ აჯანყებულ ინსტიქტის შავბნელ დროშის სინონიმი არის. და აი, სწორედ აქ იმალება ის საზარელი მხეცი, რომელიც „არა წმინდა სინიდისის" სახელით იწოდების. ადამიანი, რომელიც მოაკლდა გარეშე მტრებს და ათას-გვარ დაბრკოლებათ, ეხლა ერთფეროვნებით იქმნა გაძღენთილი. მაგრამ მასში მომწყვდეული მხეცი დაუდგრომლად ჰბორგავს, თმებს იგლეჯს, იწიწკნის ხორცს და გამეგებით აწყდება თავის გალიის მავთულებს, სადაც ადამიანმა ჩასვა იგი დასაცხრომლად. მაგრამ ამ წყვეტებში თავპირ ნაკაწრი ბრუნდება უკან, ამაოდ ეტრფის უდაბნოში განავარდებას, რათა თვითვე შურისმაძიებელ ლახვრად იქცეს და მრისხანე სახით მოევლინოს თავის დამტუქსველთ. მაგრამ ამაოდ, იგი ამ თხლეშა-წყვეტაში დაძაბუნდა და აი, ეს სულელი, ეს დავაღებული ტყვე, გახდა „უწმინდურ სინიდისის" აღმომჩენელი! „ეს თავის დატუქსვის წყურვილი, ეს ღრმად გადაკარგული სიმკაცრე მხეც-ადამიანის არსებაში იხსენიება „უწმინდურ სინიდისად", რათა თავის-თავს თვითვე მიაყენოს სასჯელი. მას დახშული აქვს თავისუფალი გამოსავალი კარი და იძულებულნი გახდნენ დაემყნოთ იგი სასჯელისა და ცოდვის (დანაშაულის) ყლორტზე. „ჩვენ მემკვიდრენი ვართ უკვე ათას-წლოვან სინიდისის მქენჯნავ მარწუხებისა და თავის-თავის გაწამებისა". მაგრამ მართლმსაჯულება, სასჯელი, „ეგრედ წოდებულ" დამნაშავეთა, ხელოვნების უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით ტრაგედია, ყველა ეს ის ფორმა არის, სადაც შესაძლებელია პირვანდელი მკაცრი და აულაგმავი ინსტიქტების აღმოჩენა" (მორალის გენეალოგია).

მონათა მორალი, ეს შურისძიება იყო უწინდელ ბატონების ჩამოსაგდებლად. ამან ალაგმა ძლიერი, ველური ადამიანი, ადამიანი—მხეცი, შეჰქმნა პირობები სუსტთა და წვრილმანთა სასარგებლოდ. იგი ნახირის წევრთ ექომაგებოდა, მაგრამ ამით კაცობრიობას ერთი ვნების მეტი არ მოუტანა—მან შეაჩერა ზრდა, მის მეოხებით შესდგა ათას წელთა მიერ მოყოლებული განვითარება კაცობრიობისა. სახელდობრ ამ მონათა მორალის წყალობით დაეცა ძველი ძლიერი ადამიანი, დაკნინდა და „ვიღაცა ოინბაზ სოციალისტებისა" და გარეცხილთა ხელის სათამაშო ნივთად გარდაიქცა, „მომავლის დომენად", აქედან დაიწყო ყოველივე მისი ღირსების შებღალვა, ადამიანის კაცუნად გახდომა" (გენეალოგია მორალისა).

(დასასრული იქნება)

დ. კახიძე.

რომ, იგი შეგნებულად ვერას დროს ითამაშებს და მის „წარმოდგენას" მაყურებლისათვის ამღზდელობით გავლენა არ ექნება, რადგანაც მაყურებლის წინ იქნება არა დრამატურგისაგან დახატული ტიპი, არამედ ისევ ის ნაცნობი აქტიორი. როგორ შეიძლება იმისი თქმა, ჩვენს თეატრს ვერაფერს ასწავლის ის სასწავლებელი, სადაც, მდაბიურად რომ ვსთქვათ, სიარულს, მახვრა-მოხვრას, აზრიან მკაფიო გამოთქმას გვასწავლიან და ხელოვნებაზე და მის პრინციპზე ლექციებს წაგვიკითხავენ?!

ყოველივე სიტყვასაც კი, რომელიც ადამიანის სულის მიმოხვრას გამოჰხატავს, ჩვენ შესაფერი სახის გამომეტყველებით გამოვხატავთ. ყოველი გრძნობის სიტყვით გამოთქმას სცენაზე თან უნდა სდევდეს სახის შესაფერი ცვლაც,—რაც ცხოვრებაში თავის-თავად ხდება. რამდენჯერ გვინახავს მსახიობს ეთქვას: „ოჰ, რარიგ მეზიზღებიო" და სახეზე კი სიამის ღიმი უკრთოდა; ასეთი მსახიობი თუთიყუშია და არა არტისტი და როდესაც ამბობენ ამ ხელოვნების, მიმიკის შესწავლა ჩვენ არ გვინდაო, ეს გაუგებრობაა. როდესაც ყველა ეს თეორიულად და პრაქტიკითაც შეთვისებული ექნება ჰკუიანს მსახიობს, იგი იმასაც ადვილად შესძლებს, ეს ცოდნა შეუფარდოს ქართულ ცხოვრებას; თვით ცხოვრება მისცემს მის მოქმედებას ადგილობრივს კოლორიტს და რამდენიმე უხეირო ცდის შემდეგ დადგება ჰკვიანი და ნიჭიერი ქართველი არტისტი. პიესის სამშობლოს იერის შენახვა და მაყურებლისათვის დანახვება, ეს ხომ სავალდებულოა არტისტისათვის, რეჟისორისთვის, რაც ჩვენს სცენაზე უცნობი ხილია. ფეხსაცმელიდან მოყოლებული თავ-დაჭერამდე უნდა ადგილობრივი და ბუნებრივი ჰქონდესთ, მაგ., ნათარგმნ პიესის გმირებს. როგორ შეიძლებს ამას ის არტისტი, როდესაც ერთი კარგი მაგალითი არ უნახავს?

არა, ჩვენ დრამატურგები გვინდაო, ჟინიანობს ბ. კონსტან. კეთილი, მაგრამ სავალალო ის არის, რომ პოეტნი იბადებიან, მათ ჩვენ არარაობისაგან ვერავითარ თილისმებით ვერ გამოუძახებთ; თუ ჩვენს ერს ჯერ კიდევ შერჩენია სასიცოცხლო ძალა, იგი ნიჭიერ დრამატურგებს წარმოშობს და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ღირსნი ხელოვანნი დავახვედროთ სცენაზე.

„რომელ წყაროს მიუდგას კოკა ცოდნისა? (ვითომ სამშობლოში დაბრუნებულმა არტისტმა), რითი აავსოს იგი კოკა და რითი დაკმაყოფილოს წყურვილი პირგამშრალ მოსწავლესი?"-ო „მხატვრულად" გვეკითხება ბ. კონსტან. წყურვილს საერთოდ წყლით იკლავენ ხოლმე და კოკაშიაც წყალს ან ღვინოს ისხმენ. მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და, ჩვენ არტისტის თავზე და გულზე გვქონდა ლაპარაკი, რაც სადრამო კურსებზე ცოდნით უნდა აივსონ და სამშობლოში ეროვნულ თეატრს მოახმარონ თავისი გამოცდილება და ნიჭი.

ეს სამერმისო საქმეა; ეს მომავლისათვის ზრუნვაა და უცაბედად გულმოდგინე და ენერგიული გამგეობა და ერთი-ორი სეზონი კარგი წარმოდგენები კი სადღეისო და გადამავალი საკითხია. ამას მოგახსენებდით პირველ წერილში 26 ივნის და ახლაც ვიმეორებ. უმრავლესობამ უადვილესი გზა აირჩია და ეს საზრუნავი უყურადღებოდ დასტოვა.

არა მგონია უმრავლესობა მართალი იყოს. **ხ. დადიანი.**

რუსეთი

დასავლეთ გუბერნიების ერობა. ამომრჩეველთა არჩევნები არ მოხდა, რადგანაც ამომრჩევი—პოლონელები კიევისა, უმანისა, ვასილკოვსკისა, ჩერკასკისა და ჩიგირინისა არ გამოცხადდნენ.

მინისტრთა საბჭომ 14 ივლისს ნება დართო სამხედრო მინისტრს საკანონმდებლო დაწესებულებათაგან 500 ათასი მანეთი ითხოვეს 1812 წლის ომის იუბილესათვის.

— **ხანთდის** კრებაზე ყაზანის სასულიერო აკადემიის წინადადებით ვოლინის ეპისკოპოზს ანტონის მიენიჭა ხარისხი ღვთის მეტყველების დოქტორისა, რაც მიანიჭა მას აკადემიამ დისერტაციის დაცვისათვის. ამის შემდეგ ანტონის ბინაზე გაიმართა სადილი, რასაც დაესწრნენ სინოდის წევრები და თვით ობერ-პროკურორი საბლერი.

— მოსკოვ-პეტერბურგის ფრენის შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ცხრა მფრინავმა, მაგრამ მათგან მოსკოვამდე მხოლოდ ვასილიევმა მოაღწია. მოსკოვს მისი ჩამოფრენაც არ უნახავს, რადგანაც იგი გზაზე გათენებისას დაეშვა.

— 15 ივლისს გაასვენეს მფრინავი შიმანსკი მისი დასაფლავება ცოტა დაგვიანდა, რადგანაც ცხედარი გამომძიებელს და ექიმს უნდა შემოწმებინა. კუბო გვირგვინებით იყო შემკული. დამარხვას ნათესავებიდან მხოლოდ ძმა დაესწრო.

— მოსკოვის მეავტომობილეთა საზოგადოებაში ა. ნ. რაპპორტმა და ვ. კ. ნავერესკიმ განცხადება შეიტანეს იმის შესახებ, რომ მოსკოვიდან ასე 128—197 ვერსტზე ფრენის საჭიროებისათვის მიმსვლელ ავტომობილებს გლეხები ქვებს უშენდნენ, შინებიც ქვეშ დალურსმულ ფიცრებს უდებენ და რაპპორტის მეუღლეს ქვით თავი გაუტეხესო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მკათათვე.

საზღვარ-გარედ.

უსკიუბი. ისა ბულეტანტი მოვიდა და მთავრობას დაჰნებდა.

კუმანოვის მახლობლად ბოლგართა ბრბო ჟანდარმებს შეებრძოლა. ბრბოს ერთი კაცი მოუკლეს და ერთიც დაუჭრეს.

თეირანი. ბატონიშვილი სალარუდდოულე ქირმანშაჰს 17 მკათათვეს მივიდა. ხალხი აღტაცებით მიეგება.

ოტავა. ონტარიოში სუდით ავადმყოფთა საავადმყოფოში ცეცხლი გაჩნდა. 9 კაცი დაიწვა, 1000 გადაარჩინეს.

პორტოო-პრენსი. პრეზიდენტმა სიმონმა, რაკი დაინახა რომ წინააღმდეგობის გაწევა უნაყოფო იქნება, თანხმობა განაცხადა ეცხო სახელმწიფოთა გემებზე გადასვლისა. დიპლომატიური კორპუსი აჯანყებულთ მოლაპარაკა, რომ დედა-ქალაქის აღების დროს უწესობა არ მოხდეს.

ბერლინი. კოლონიალურმა საზოგადოებამ, ჰერცოგ მეკლენბურგის თავმჯდომარეობით კრება მოახდინა და მაროკოს საქმეების თაობაზე ითათბირა. კრებამ პროტესტი განაცხადა, რომ გერმანიამ საფრანგეთს რამე დაუთმოს, მეტადრე ტოგოს ოლქში.

სტამბოლი. პორტა დარწმუნებულია, რომ მალისორებთან მოლაპარაკება მალე მშვიდობიანად გათავდება. შესათანხმებელი მხოლოდ ერთი მუხლი და დარჩენილა. პორტა დარწმუნებულია, რომ მალისორები ამ მუხლსაც მიიღებენ. თუ მალისორებმა ამ მუხლის უარი სთქვეს, ჩერნოგორიასთან ომი აუცილებელი იქნება.

ავლონიდან იტყობინებიან, რომ იქ ალბანელებსა და ჯარს ბრძოლა მოსვლიათ, ჯარისთვის ალბანელებს 20 კაცი მოუკლავთ და 45 დაუჭრიათ.

ტრიესტი. გაზეთები იუწყებიან, რომ მრავალი ახალგაზრდა გაიქცესო. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ამ ახალგაზრდებს ალბანეთში წასვლა და ალბანელების მიშველება უნდოდათ, ბევრი იარაღი დაუჭერიათ.

ბერლინი. სიცხისაგან ბევრი იხოცება.

რ უ ს ე თ ი.

პეტერბურგი. საბჭომ ქალაქის ჰიგიენურის მოსაზრებით შეუძლებლად სცნო ქალაქის საზღვრებში სასაფლაოების დატოვება; ამის გამო არსებული სასაფლაოები თან და თან უნდა გაუქმდეს.

ოდესა. ამერიკის საერთაშორისო სამკალ მანქანათა კანტორაში მძარცველები შეიჭრნენ და 3.600 მ. გაიტაცეს. რამდენჯერმე ესროდეს ბოქაულის თანაშემწეს, და გამგე ოდანეშერის მანქანათა საწყობისა დაჭრეს. დაიჭირეს ერთი კაცი, მაგრამ ისევ განთავისუფლდეს, რადგანაც უდანაშაულო აღმოჩნდა.

ტომსკი. მეორე დღე ქალაქში სიცხის ბუღია. მახლობელი ტყე იწვის.

პეტერბურგი. სავაჭრო ნავთ სადგურზე მუშები მუშაობაზე ხელს იღებენ. განათლების სამინისტროს ბრძანებით პეტერბურგის ოლქის სამმართველოში გამოცხადდა სამღვდლო სამკურნალო კურსების პროფესორებს: ხისტოვიჩს, ვინოგრადოვს და სავვაიტოვს, შემოიტანონ თხოვნები სამსახურიდან გადადგომისა. და რადგან ისინი არ ჰკითხულობდნენ ლექციებს (გაფიცვის დროს) საშუალება მისცენ სამინისტროს გაანთავისუფლოს ისინი მათთვის არა სასიამოვნო მოვალეობიდან.

ვიატკა. მფრინავმა ვასილიევმა ბლერიოს მონოპლანით ქალაქს შემოუარა.

ოდესა. რომანოვსკის უბანში სამკალ მანქანათა კანტორის მძარცველებს მიაგნეს, ასტყდა სროლა. ერთი მძარცველთაგანი მოჰკლეს, მეორემ თავი მოიკლა, მესამე—დაჭრილია, მეოთხე—დაჭრილს უპოვნეს 900 მანეთი.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. ამ თვის გასულს ქალაქის თეატრში ი. **გრიშაშვილი** გამართავს ორიგინალურ სალიტერატურო საღამოს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ტფილისისა და ქუთაისის ძველი და ახალი მწერლები.

—

დ. ხონი. კვირას, 31 ივლისს, **მსახიობ იუზა ზარდალიშვილის** საბენეფისოდ წარმოადგენენ „დანაშაულსა და სასჯელს" დრამა ხუთ მოქმედებად და 8 სურათად. **რასკოლნიკოვის** როლს მობენეფისე შეასრულებს. რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთით მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც თავიანთ უსასყიდლო შრომით ხელი შეუწყვეს ჟურ. გაზ. გავრცელებას ბიუროსაგან ჩემზედ მონდობილ ადგილებში და საშუალება მომცეს საქმის ჯეროვანად დაყენებისა. ესენი არიან შემდეგნი:

1) **სამტრედიაში** მუშა ერმალო ლობჟანიძე და წიგ. მაღ. გამგე ვალერინე ხარებავა.

2) **სენაკში.** ლაზარე ჯორბენაძე და ფილიპე სირია.

3) **ზუგდიდში.** მესტამბე ტრიფონ თოხაძე.

4) **ფოთში.** მუშა ვასილ ჯიბლაძე.

5) **ლანჩხუთში.** ივანე დ. ბარამიძე.

6) **სუფსაში.** პავლე ვადაჭკორია.

ვისურვებ სხვა ადგილებშიც აღმოსჩენოდეს დასახელებულ საქმეს მგზავრი პატივისმცემელი,

პატივისცემით **ს. თრბგველიძე.**

—

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა შევწირო ბ-ნ ვ. ნაცვლიშვილს, რომელმაც ახლად გახსნილ სოფ. კავთისხევის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შემოსწირა თერთმეტ მანეთად ღირებული წიგნები სხვა და სხვა სახელ-წოდებისა და აგრეთვე ჟურნალ „ნაკადული"-ს ნომრები და პედაგოგიური ფურცლები 1905 წლ.

სოფ. კავთისხევის ბიბლიოთეკის გამგე **მღ. ხვიჩინ ინდუაშვილი.**

—

დიდად პატივცემულო ბ. რედაქტორო! ნება მოგვეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ოზურგეთელ ვაჭრებს ბ. ბ. მოსე ცომაიას და ყარამან მეგრელაძეს, რომლებმაც ჩვენდამი რწმუნებულ სოფელ ექადიის სამრევლო სკოლას შემოსწირეს: პირველმა შვიდ მანეთიანი ზარი, ხოლო მეორემ საკლასო დაფა, რვა მანეთად ღირებული.

სოფელ ექადიის სამრევლო სკოლის გამგე ბლაღოჩინი მღვდელი.

ხერგო გალოგრე.

გამოსადეგი ცნობა

პეტერბურგის ბირჟა

ივლისი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

ხარგებლიან ქაღალდების ფასები:

4% ხაზ. რენტა	94
5% გირ. ფ. ს.-აზ. ხაზ. ს.-მამ. ბან.	99-62½
4% „ „ „ „ „	95¼
3½% „ „ „ „ „	84¾
5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ.	86⅜
4½% „ „ „ „ „	—
5% „ „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ.	—
5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. ხაზ.	86⅞
4½% „ „ „ „	—
5% I მომგებ. ბილეთ.	472½
5% II „	58
5% III „	321.

ტფილისის ბირჟა

ხანთვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:

მატყლი თუშური	7 მ. 30 კ. 8 მ.
ბამბა ქუთათური	—
აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ.	15-16
ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი	5½
ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი	7 „
ყველი ქართული	7 მ. 40 კ. 8 მ.
თხილი ზაქათალისა	—
ღვინო კახური	3 მ. 50 კ.
შაქარი (თავისა	5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ.
შაქარი (ფხვიერი	4 მ. 65 კ.
ხორბალი	—
ქერი თეთრი	—
სიმინდი	80—85

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

ტფილისიდან გადის:

1) ბათუმისაკენ: N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) საფოსტო მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს.37წ.

3) სახალხო მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) შერეული მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ, 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს, 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

1 3) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ.დილ., განჯაში იქნება ნაშუად, 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 48 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1. I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათომიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

შორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით

შორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

ტფილისიდან მცხეთაში:

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4სამ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

მცხეთიდან ტფილისში:

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებლებს მისდევს, ხოლო კავკავის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო-სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საავარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) შერეული სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით იგლის.

განცხადებანი

◀ მშობიარეთათვის ▶

თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაბების ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—66)

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. [illegible]

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ ს. ში, გან. და საბავშვო.

ბ. გ. ავასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს-დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—89)

კ რ ე მ ი

„მეტამორფოზა"

აფთ.

ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულებით აშრობს ჭორფლსა და ნასიცხს

და კანსაც იფარავს, რომ მეორედ აღარ გამოაჩნდეს.

ვისაც ჭორფლი არა აქვს და უნდა რომ არც გამოაჩნდეს ვურჩევთ იხმარონ კრემი

„ალბადერმა"

რომლის ნაწილიც შეზავებულია კრემ მეტამორფოზაში.

მოითხოვეთ ყველგან.

Мецль N 253950 (10—1382—4)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა: წ. 1-ლი „ეროვნული პრობლემის გარშემო", ... ფ. 75 კ.

„ „ „ წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . ფ. 80 კ.

Baton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.

ვ. ყიფიანისა: «სამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა . . . ფ. 40 კ.

შიუკაშვილისა: «მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

[illegible]

ე. ა. ცატუროვის დეპოში

მიღებულია დიდ-ძალი

ახალ-ხაზიანი

შპალიერი

მცირეს ფასებიდან მოკიდებული.

ბითუმად მყიდველთ საქარხნო პირობებით

ე თ მ ო ბ ა თ.

ტფილისი, სასახლის ქუჩა.

(10—1401—1)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და გელა-რებეც 50 კ.

აგრე [illegible] ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1052—)

სტამბა „სორაპანი" მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.